# სატენდერო დოკუმენტაცია

Direct Debit Georgia

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **სწრაფი გადახდის ტერმინალის დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე 2 წლის ვადით.**

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი |
|---|
| **სწრაფი გადახდის ტერმინალების დასუფთავება - თბილისი (გარე)** |
| **სწრაფი გადახდის ტერმინალების დასუფთავება - რეგიონი (გარე)** |
| **სწრაფი გადახდის ტერმინალების დასუფთავება - (შიდა)** |

***ძირითადი მოთოხვნები***

***სიხშირე***

- ქალაქი თბილისი - თვეში ექვსიდან-რვამდე, გარემო პირობებიდან გამომდინარე;
- რეგიონები თვეში ოთხჯერ, გარემო პირობებიდან გამომდინარე;
- შიდა ლოკაციები (თბილისი-რეგიონები) - თვეში ერთხელ;
- დასუფთავებებს შორის დაცული უნდა იყოს პროპორციული ვადა;

***მომსახურების სტანდარტი***

- დასუფთავდეს სწრაფი გადახდის ტერმინალის კორპუსი, საწვიმარი, საწვიმრის მინა, ეკრანი, ნოტიო ტილოთი და სპეციალური ხსნარით;
- თვეში ერთხელ მოშორდეს სწრაფი გადახდის ტერმინალს ღრმად ჩამჯდარი ჭუჭყი სპეციალური ხსნარით;
- მოშორდეს სწრაფი გადახდის ტერმინალზე დაკრული სტიკერი, პულივიზატორით ან საღებავით დატანილი წარწერა;
- ყოველ დასუფთავებაზე მიეწოდოს დამკვეთს ინფორმაცია ფოტოსურათით, სწრაფი გადახდის ტერმინალზე აღმოჩენილი კოროზიის, დაზიანებული საწვიმრის მინის, მასზე არსებული საღებავის (რომელიც არ შორდება მეტალს) ან სხვა ხარვეზის შესახებ;
- მანიშნებელი სტიკერები - შეამოწმოს სწრაფი გადახდის ტერმინალზე არსებული მანიშნებელი სტიკერები, დაზიანების ან არ არსებობის შემთხვევაში დასუფთავების შემდგომ შეცვალოს/დაასტიკეროს;
- დაზიანების საფრთხე - შემსრულებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ისეთი საშუალებებით რომელიც არ გამოიწვევს მოწყობილობის დაზიანებას, მნიშვნელოვანია, რომ მაღალი წნევით არ მოხდეს სითხის მისხმა;
- მოახდინოს რიგგარეშე დასუფთავება დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 8 საათის შუალედში;
- გამოყენებული საწმენდი საშუალებები უნდა იყოს ბიოლოგიურად დაშლადი და არ უნდა იყოს მომხმარებლების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი;

Direct Debit Georgia

- შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს საკუთარი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

  ***რეპორტინგი***
- შემსრულელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს ინფორმაცია დასუფთავებამდე მინიმუმ 4 საათით ადრე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;
- ყოველი თვის ბოლოს მიაწოდოს დამკვეთს რეპორტი შესრულებული სამუშაოების შესახებ, სწრაფი გადახდის ტერმინალის ID-ის და მისამართის მითითებით;
- მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს დამკვეთს სწრაფი გადახდის ტერმინალების ფოტოები.

  ***წინადადება***
- სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს:
  1. მომსახურების ფასს ერთეულზე
  2. გამოყენებული მასალებისა და დასუფთავების ტექნოლოგიების აღწერას
  3. რეკომენდაციებს მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ მინიმუმ 3 კომპანიიდან

***ანაზღაურება***

მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში ყოველთვიურად.

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 15/11/2024 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**